ორი “დინამოს” მატჩი

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 6 ივლისი.

“დინამო” (მოსკოვი) _ “დინამო” (თბილისი) 0:0.

თბილისი: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, ჩოხელი, მელაშვილი, გ. სიჭინავა, კალოევი, ბარქაია, მესხი.

მოსკოვი: ბელიაევი, კესარევი, რიაბოვი, გლოტოვი, ანიჩკინი (ბობკოვი), ცარევი, ფადეევი, ჩისლენკო, კოროლენკოვი, ივანოვი, ნიკოლაევი.

მსაჯი ა. ალოვი (ლენინგრადი).

მას შემდეგ, რაც თბილისელებმა ბრწყინვალე თამაში აჩვენეს მოსკოვის ტორპედოელებთან, მათი გამოსვლა დედაქალაქის სტადიონზე უდიდეს ინტერესს იწვევს. მოსკოველმა მაყურებლებმა კარგად იციან: თუ თბილისის “დინამო” სათანადო ფორმაშია და საბრძოლო განწყობილებითაა აღჭურვილი, სტადიონზე მისვლა ღირს. თამაშს ნახავ...

გათამაშების სტარტმა განვლო. მასთან ერთად განვლო თბილისელთა გუნდის კრიზისმაც და ამიტომ სამხრეთელთა გუშინდელ მატჩს მაყურებელთა მაქსიმალური რაოდენობა დაესწრო.

თანაკლუბელებმა ერთნაირი სისტემა აირჩიეს: 3+3+4. მოსკოველთა სამ ნახევარმცველს წარმოადგენდნენ ანიჩკინი, ცარევი და ივანოვი, ხოლო თბილისელთა გუნდში ამ ხაზზე თამაშობდნენ ზეინკლიშვილი, ჩოხელი და გ. სიჭინავა. მე ჩემს თავს უფლებას ვაძლევ ვთქვა, რომ სტუმართა ნახევარდაცვა უფრო საინტერესოდ და აქტიურად მოქმედებდა, თუმცა ჩოხელი წინა მატჩში შედარებით აგრესიული იყო, ვიდრე ახლა.

მოსკოვის დინამოელთა სტრატეგიული გეგმა ცხადი იყო: პირველი წუთები. სწორედ დასაწყისში უნდა მიეღწიათ მათ შედეგისათვის, რომ წონასწორობიდან გამოეყვანათ მოწინააღმდეგე, შეეტანათ მისი დაცვის რიგებში დეზორგანიზაცია და მერე ებრძოლათ მიღწეულის შესანარჩუნებლად. მაგრამ ეს ძალზე ძველი მეთოდია სამხრეთელთა გუნდთან საბრძოლველად. თბილისელებმა ისწავლეს დებიუტში თამაში.

მასპინძლები ყველაფერს აკეთებდნენ თავიანთი გეგმის შესასრულებლად. პირველი 20 წუთის განმავლობაში მათი იერიში შტურმის ხასიათს ატარებდა. თბილისელთა დაცვა მთელი თავისი შესაძლებლობით თამაშობდა, ხოლო კოტრიკაძეს ზედიზედ მოუხდა ძნელი ბურთების აღება. მე-10 წუთზე რიაბოვის მიერ დარტყმული საჯარიმო ბურთი ოდნავ აცდა კარს. შემდეგ კარგი მომენტები ჰქონდათ ჩისლენკოს, ბობკოვს, ნიკოლაევს. მხოლოდ ტაიმის დასასრულს ამოისუნთქეს თბილისელებმა და გადავიდნენ კონტრშეტევაზე.

თავიანთი სრული შესაძლებლობები თბილისელებმა მეორე ტაიმში გვაჩვენეს. ეტყობა, გუნდმა საფუძვლიანად მოითათბირა შესვენებისას და თამაშის მეორე ნახევარი დაიწყო შეტევების მთელი სერიით. უკვე მე-7 წუთზე მესხმა ზედ კარის წინ გაიყვანა კალოევი და ამ უკანასკნელმა ვერ გამოიყენა ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა. იმავე კალოევს შემდგომში, 28-ე წუთზე აშკარად შეეძლო წინ გაეყვანა თავისი გუნდი: იგი მეკარის პირისპირ აღმოჩნდა კუთხურიდან მოწოდებული ბურთის შემდეგ და ეს პოზიცია აშკარად წამგებიანი იყო ბელიაევისათვის. მაგრამ ფორვარდმა, როგორც მოჭადრაკეები ამბობენ, ვერ მოძებნა საუკეთესო გაგრძელება და ხელებში მისცა ბურთი მეკარეს. მაგრამ თუ ეს ბურთი მეკარისათვის ნამდვილი საჩუქარი იყო, ბელიაევის სრულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს 26-ე წუთი, როცა მან შორეულ კუთხეში, ძელს ქვეშ მოუსწრო ბარქაიას მეტად ძლიერ დარტყმას.

მეორე ტაიმში თბილისელებმა მრავალი კარგი კომბინაცია გაითამაშეს, არაერთი მომენტი შექმნეს მოპირდაპირე კართან, მაგრამ 0:0, როგორც ეწერა ტაბლოზე მატჩის დასაწყისში, ისევე დარჩა ბოლომდე.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრაში საუკეთესო თამაში აჩვენეს თბილისელებმა, რომლებმაც მოიპოვეს დამაჯერებელი გამარჯვება ანგარიშით 5:0.

ვ. პავლოვი, ჩვენი სპეც. კორ.
“ლელო”, 7 ივლისი, 1962 წ.